სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080196925426423

№ 1619 25 / მაისი / 2023 წ.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 28 აპრილსა და 2 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის (ს/ნ: 217890584) 2023 წლის 28 აპრილისა და 2 მაისის №101 და №108 მომართვა და დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 3656 და № 3715), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2023 წლის 24 მაისს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2023 წლის 23 მაისის №137 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №4378), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2023 წლის 22 მაისის №1784 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო № 1“-ის (ს/ნ: 217890584) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2023 წლის 31 მაისს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს (ს/ნ: 217890584) 2023 წლის 1 ივნისიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად კახი დემეტრაშვილი